პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 აპრილი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 69 (9480) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გუშინწინ ლანჩხუთში ადგილობრივმა „გურიამ“ ლენინგრადის „ზენიტს“ უმასპინძლა. სურათზე ამ მატჩის ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი. (იხ. მე-3 გვ.).

საქინფორმის ფოტოქრონიკა (სპეციალურად „ლელოსთვის“).

# საყოველთაო ლაშქრობა ჯანმრთელობისათვის

## თბილისი



**5 აპრილს** ხალხმრავლობა იყო მთაწმინდის პლატოზე. ი. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში თავი მოიყარეს კალინინის რაიონის ფიზკულტურელებმა — მოსწავლეებმა, მშრომელებმა. ზეიმის ორგანიზატორებმა— კალინინის რაიონის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე ჯუდუ ქამუშაძე) და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საქალაქო საბჭომ (თავმჯდომარე ნანა ბალაშვილი) ასპარეზობის პროგრამაში შეიტანეს 6 სახეობა — რბენა 200 და 300 მეტრზე, მაგიდის ჩოგბურთი, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა. ტურისტული ლაშქრობა, ფეხბურთი, რომელიც ოქროყანის სტადიონზე ჩატარდა. გარდა ამისა, ს. კიროვის სახელობის პარ.ა ...

იხ. მე-4 გვ.

## ჩემპიონატის წინ

**ლენინგრადში** ამას წინათ დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ (მეორე ეტაპი) პრიზზე.

ასპარეზობაში კონკურსგარეშე გამოდიოდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისელი დინამოელი ეკა ზეთურიძე. ქართველმა ტანმოვარჯიშემ საუკეთესოდ იასპარეზა — მრავალჭიდში 38,95 ქულა მოაგროვა. მასზე უკეთესი შედეგი ჰქონდა მხოლოდ ელენა ლიუშკინას —39,35.

ამჟამად ე. ზეთურიძე ემზადება სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატისათვის, რომელიც 15-20 აპრილს ჩელიაბინსკში გაიმართება.

## 50 სსრ კავშირის ჩემპიონატი

**გუშინ გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის VI ტურის მატჩები.**

თბილისის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო ალმა-ათის „ქაირათი“.

თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 3:0. გოლები: ჩელებაძე, ცაავა, კაკილაშვილი.

**სხვა მატჩები:**

„დნეპრი“ — „სპარტაკი“ 1:2

„ტორპედო“ — ცსკა 2:1

„არარატი“ — „დინამო“ მნ. 1:2

„ნეფთჩი“ — „შალგირისი“ 1:0

## I ლიგა

**I ლიგის** ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში გუშინ გაიმართა II ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა შინ მიიღეს ლვოვის ას, „კარპატი“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბათუმის დინამოელები თავიანთ მინდორზე შეხვდნენ ოდესის „ჩერნომორეცს“ და დამარცხდნენ—0:1.

ბაქო. 1987 წლის მარტი. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების მოჭადრაკეთა საკავშირო გუნდური ტურნირი. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა პირისპირ. (იხ. მე-4 გვ.).

ბ. კეტროხიანის ფოტო (საქინფორმი).



● საწარმოთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებში ხშირად უყურადღებოდ რჩება ფიზკულტურა და სპორტი. ცხკაიას ხალიჩების ფაბრიკაში ძველი სპორტული ბაზები დაანგრიეს, ახლის აშენებაზე კი არავინ ფიქრობს, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა საწარმოში ჩაშლილია.

● წინათ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული ცხოვრება ჩქეფდა, დღეს კი იმ ძველი დიდებიდან მხოლოდ მოგონება შემორჩა.

● ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკა ხუთი წლის წინათ აშენდა, სპორტული ბაზები კი დღემდე არ მოუწყვიათ.

● მძლეოსნობაში საქართველოს „ტელევიზიის პრიზის“ გათამაშების მეორე ეტაპის შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ ზუგდიდის წარმომადგენლები.

იხ. 1-2, 4 გვ.

# გურამ ბიგანიშვილი მეორე ადგილზე

**სოჭში** დამთავრდა აფროსანთა ტრადიციული რეგატა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ „ვარსკვლავის“ კლასში სამი რბოლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ვ. პოტაპოვი და გ. ბიგანიშვილი ლიდერობდნენ. მეოთხე და მეხუთე რბოლის შემდეგ დაწინაურდა ვ. პოტაპოვი, რომელმაც ბოლოს მოიგო კიდეც შეჯიბრება. გ. ბიგანიშვილი მეორე ადგილზე დარჩა, მესამე კი ესტონეთის გუნდის წევრმა ა. ვოლმერმა დაისაკუთრა.

პირველი ადგილები მოიპოვეს აგრეთვე: „ფინის“ კლასში — ნ. სუხორუკოვმა, კატამარან „ტორნადოში“ — უკრაინელებმა ს. პრიიმაკმა და ს. კრავცოვმა, „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში უძლიერესი ბელორუსიელი აფროსანი ა. შპილკო იყო, „ლუჩში“ — ს. დელემბოვსკი (უკრაინა). „სოლინგში“ — გ. შაიდუკო (მოსკოვი), „470“-ში ლ. ცალიკი (უკრაინა).

## მოკლედ

**ძიუდო. ლიპეცკი. სსრ კავშირის პირველობა 16-18 წლის გოგონათა შორის.**

ჩემპიონები გახდნენ: 48 კგ — ო. კრუტოლევიჩი (მინსკი), 52 კგ — ე. კონდრატიევა (ალექსანდროვი), 56 კგ — ლ. ლოგაჩოვა (ნოვოჩერკასკი), 61 კგ — ს. მანაენკოვა, 66 კგ — მ. ნიკოლაევა (ორივე — ლენინგრადი), 72 კგ — მ. ზლობინა (სოლიკამსკი), მძიმე — გ. რიბალკი (მაიკოპი).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთის ფედერაცია, 2. ლენინგრადი, 3. ბელორუსია.

# ყველაზე პრესტიჟულ პროგრამაში

**რუსთავის** გზატკეცილის 21 კილომეტრზე, დოსააფის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ტერიტორიაზე ჩატარდა კარტინგით მრბოლელთა საკავშირო ასპარეზობა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე. ყველაზე პრესტიჟულ ც-2 კლასის მანქანებით შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა რუსთაველმა სპორტსმენმა იური ვინკოვსკიმ.

გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრები მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

# ბარიერი — უპასუხისმგებლობა

**საქართველოს** „ტელევიზიის პრიზის“ გათამაშება მძლეოსნობაში, რომლის პირველი შეჯიბრებები უკვე ნახა უამრავმა გულშემატკივარმა და ტელემაყურებელმა, ფართო მასშტაბის, მრავალეტაპიანი ღონისძიებაა. ორი შეჯიბრების შედეგების მიხედვით მისი მნიშვნელობისა და პერსპექტივის შეფასება შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული დასკვნები მაინც შეიძლება გაკეთდეს.

„ტელევიზიის პრიზის“ გათამაშების საბოლოო მიზანი, როგორც ადრე ითქვა, საქართველოში მძლეოსნობის პოპულარიზაცია და პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენაა. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ შედეგი დადებითი იქნება, მაგრამ რა მოცულობისა და მნიშვნელობის, ეს შეჯიბრების ორგანიზაციაზე, უფრო კი მონაწილეებზე და მათ ხელმძღვანელებზე იქნება დამოკიდებული.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე უამრავი მაყურებლის წინაშე გამოსვლა, მით უფრო გამარჯვება, ყველა მოზარდი მძლეოსნისთვის მნიშვნელოვანი ამბავია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ანგარიშს უწევენ თუ არა თვით ასპარეზობის მნიშვნელობას გუნდების ხელმძღვანელები, რომლებსაც სპორტსმენთა შერჩევა ევალებათ.

პირველმა სტარტებმა დაგვარწმუნა, რომ ბევრს ალღო და პასუხისმგებლობის გრძნობა ღალატობს: განა შეიძლება ერთი შეჯიბრების მიხედვით განსაზღვრო ვინ უკეთესად დარბის ამა თუ იმ რაიონის

იხ. მე-4 გვ.



სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „თითოეული ადამიანისათვის, და არსებითად საზოგადოებისთვისაც არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჯანმრთელობა. ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება უპირველესი მნიშვნელობის საქმეა. ჯანმრთელობის პრობლემები ფართო სოციალური პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ. იგი განისაზღვრება, უწინარეს ყოვლისა, შრომისა და ყოფის პირობებით, კეთილდღეობის დონით“.

# თამამად ვამხილოთ ნაკლოვანებანი

## ეს ხელს შეგვიწყობს გარდაქმნისა და წინსვლის დაჩქარებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმაღლესი სასწავლებლის სპორტული მოედნების შუქ-ჩრდილები

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა პირველი მეცადინეობა გამართეს ახალ სპორტულ დარბაზში. ეს არის ვრცელი, ნათელი შენობა, რომელსაც აქვს 45X25 მეტრი ზომის მოედანი, სადაც შეიძლება გაიმართოს ასპარეზობა კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთსა და მინი-ფეხბურთში.

— რა ნაგებობები შედის უმაღლესი სასწავლებლის სპორტულ ბაზაში? — ასეთი შეკითხვით დაიწყო საუბარი საქინფორმის კორესპონდენტმა სასწავლებლის ფიზკულტურის კათედრის გამგესთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გურამ მინაშვილთან.

— ჩვენი სტუდენტების განკარგულებაშია 25-მეტრიანი საცურაო აუზი, ტირი, ჭიდაობისა და ძალოსნობის დარბაზები, ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის გვერდით შენდება კიდევ ერთი დარბაზი ფიზიკური მომზადებისათვის. ერთი შეხედვით, უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ — რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებს ასეთი შესაძლებლობები არა აქვთ. მაგრამ, თუ დავუფიქრდებით, პრობლემები ჩვენც საკმარისად გვაქვს. მთავარი პრობლემაა ის, რომ სპორტული ნაგებობები მოძველდა, მათ სჭირდება კაპიტალური რემონტი. ამიტომ, სასწავლო პროცესი რომ არ ჩავშალოთ, გვიხდება კიდევ ორი დარბაზის დაქირავება სპორტის სასახლეში, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება.

— სასწრაფოდ თუ შეკეთდება, შეძლებენ ეს ნაგებობები უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას?

— სამწუხაროდ, არა. მაშინაც ვიგრძნობთ სპორტული მოედნების მწვავე დეფიციტს. მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია სპორტული არენების განახლებაზე... გვქონდა სტადიონი, მაგრამ სასწავლო კორპუსების მშენებლობისას იგი ნაგვის საყრელად აქციეს. უმაღლესი სასწავლებლის ახალმშენებლობანი ქალაქის მშვენებად იქცა, მაგრამ არავის ედარდება „გადახნული“ საფეხბურთო მინდვრის ბედი.

ამ სიძნელეთა მიუხედავად, კათედრის მუშაკები გულხელდაკრეფილნი როდი სხედან. დღის განყოფილებაზე მოსწავლე თოთხმეტი ათასზე მეტი სტუდენტისათვის სასწავლო წლის დამდეგს ეწყობა შეჯიბრებები ფაკულტეტებს შორის, შემდეგ — სასწავლებლის სპარტაკიადა სპორტის 21 სახეობაში. მასში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები, ასევე მასწავლებლები.

ინსტიტუტში ახლა მოქმედებს 57 სპორტული სექცია, რომლებშიც ათასზე მეტი სტუდენტი მეცადინეობს. ხოლო იმათთვის, ვინც ჯანმრთელობას უჩივის, შექმნილია 16 სპეციალური ჯგუფი. ყოველ კვირას 386 ქალიშვილი და ჭაბუკი გამოცდილი მეთოდისტების მეთვალყურეობითა და მედიკოსების კონტროლით მეცადინეობენ აქ სამკურნალო ფიზკულტურაში.

უყურადღებოდ არც მასწავლებლები დარჩენილან. რბენის, ცურვის, ტანვარჯიშის გამაჯანსაღებელ ჯგუფებში ჯანმრთელობას იკაჟებს საშუალო და ხანდაზმული ასაკის 115 კაცი.

დღეისათვის ყველაზე შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ქიმიური ტექნოლოგიის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და არქიტექტურის ფაკულტეტებმა. ახლო წარსულთან შედარებით უფრო აქტიურად მოჰკიდეს ხელი სპორტს გოგონებმა. ახლა სხვადასხვა სპორტულ სექციაში უმრავლესობას სწორედ გოგონები შეადგენენ.

ვათვალიერებთ ინსტიტუტის სპორტსმენების მიერ მოპოვებული სპორტული ჯილდოების კოლექციას... ყოველი ექსპონატი მოგვაგონებს უმაღლესი სასწავლებლის დიდი ხნის სპორტულ ტრადიციებს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები არაერთხელ ყოფილან საკავშირო და რესპუბლიკური უნივერსიადების გამარჯვებულები და პრიზიორები. სხვადასხვა წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ღირსებას იცავდნენ სახელგანთქმული სპორტსმენები — ოლიმპიურ ასპარეზობათა, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონები — მოჭიდავეები რომან რურუა, როსტომ აბაშიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, ხელბურთელი ალექსანდრე ანპილოგოვი. სპი-ს სტუდენტები იყვნენ ფეხბურთელები შოთა იამანიძე, მურთაზ ხურცილავა, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გივი ნოდია, ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია, ტანმოვარჯიშე პაატა შამუგია და სხვები.

და აი, ჩვენ ვდგავართ მძლეოსნობასა და ცურვაში ინსტიტუტის რეკორდების სტენდთან. ამ რეკორდების დიდი უმრავლესობა მრავალი წლის წინათ არის დამყარებული. „უახლესი“ მიღწევა 1982 წლით არის დათარიღებული. როგორც ეტყობა, ინსტიტუტი თმობს პოზიციებს. მაგრამ იყო დრო, როცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი წარმოდგენილი იყო ქალთა და ვაჟთა უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატში. სტუდენტთა სიამაყე იყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდი — სსრ კავშირის პირველი ჩემპიონი. ახლა ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა.

— რატომ მოხდა ასე?

— როგორც ყოფილი სპორტსმენი, — თქვა გ. მინაშვილმა, — ვიტყვი: ახლანდელ პირობებში, უმაღლესი სასწავლებლის კედლებში უბრალოდ შეუძლებელია მაღალი კლასის სპორტსმენის გამოზრდა, არ არის მთავარი — თანამედროვე საწვრთნელი ბაზა და მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები. წინათ ჩქეფდა ინსტიტუტის სპორტული ცხოვრება. მრავალი პერსპექტიული სპორტსმენი ხალისით აბარებდა ჩვენთან. მათ იზიდავდა იმ დროისათვის კარგი ბაზები. სამწუხაროდ, დრო უმოწყალოდ ჩქარა გარბის. იგი ტოვებს თავის კვალს დახეთქილი კედლების, ჩამონგრეული ჭერის, დაჟანგებული წყალსადენი მილების სახით. ყველა ეს არასახარბიელო ნიშანი დააჩნდა ინსტიტუტის სპორტულ ნაგებობებსაც.

ზ. კორძაძე,
საქინფორმის კორ.

## SOS
## სარბიელი კი დაავიწყდათ...

ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში, სადაც 1200-ზე მეტი კაცი მუშაობს, არ არის არც სპორტული მოედანი, არც სპორტდარბაზი, უბრალოდ, ბურთის სათამაშო ადგილი არა აქვთ, ოთახიც კი არ არის გამოყოფილი ჭადრაკის ან შაშის სათამაშოდ, თუ არ ჩავთვლით კლუბსა და ბიბლიოთეკას, რომლებიც თავის გეგმით მუშაობენ და არავითარი კავშირი არა აქვთ სპორტთან.

1200 კაციდან 800-ზე მეტი ახალგაზრდაა — გვითხრა კომბინატის პარტბიუროს მდივანმა იგორ შურღაიამ — უმრავლესობა გოგონები არიან, მაგრამ არც ბიჭებია ცოტა, მათ ძალიან უყვართ სპორტი, თუმცა სპორტული ბაზების უქონლობის გამო სისტემატურად ვერ ვარჯიშობენ. ახლახანს მათი ინიციატივით ეზოს გარეთ ადგილი გამოვძებნეთ და მინიფეხბურთის მოედანს ვაშენებთ, სადაც კალათბურთი, ხელბურთი და ფრენბურთიც შეიძლება ითამაშონ.

კომბინატის ეზოში შესვლისთანავე იგრძნობა სივიწროვე, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა, ადრე მოედანიც ჰქონიათ, სარბენი ბილიკიც. ხელბურთელთა გუნდიც ჰყავდათ, ფეხბურთელთა გუნდი „მეხალიჩე“ კი საქართველოს პირველობაზეც გამოდიოდა.

ერთ დღეს მშენებლები მოვიდნენ და მოედანზე საძირკვლის გათხრა დაიწყეს — იგონებს ყოფილი ხელბურთელი, ელექტრიკოსი ჟორა კარტოზია — გვითხრეს სპორტულ დარბაზს ვაშენებთო, მოვტყუვდით, იქ საამქროები გამართეს. მაშინ ეზოს მეორე კუთხეში გამოვძებნეთ ბურთის სათამაშო ადგილი, ისიც გააუქმეს. ახლა იქ მუშა-მოსამსახურეთა ავტომანქანების სადგომებს აკეთებენ. არ ვიცი სადამდე გაგრძელდება ასე, არადა, შესანიშნავი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდები გვყავს.

ერთი საგულისხმო ფაქტიც: ადგილობრივი ახალგაზრდები თუკი რაიონულ და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობენ, გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ, ეს ინდივიდუალური ვარჯიშის ხარჯზე ხდება.

ახლა კი კომბინატის დირექტორს ჯემალ ბერაიას მოვუსმინოთ: „ჩვენ ბევრი პრობლემის წინაშე ვდგავართ, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით, მანქანა-დანადგარების შეცვლით გაუმჯობესდა პროდუქცია. სულ უფრო იზრდება მოთხოვნები ქართულ ხალიჩაზე, რაც, ცხადია, დადებით გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიკაზე. ახლა კომბინატში 11,5 მილიონი მანეთის რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც 1990 წელს უნდა დამთავრდეს. ამ სამუშაოებში არსადაა გათვალისწინებული სპორტული ბაზის მშენებლობა. ასეთი კურიოზი იმით შეიძლება აიხსნას, რომ განვიცდით ტერიტორიის სივიწროვეს. ჯერჯერობით სპორტდარბაზის მშენებლობა კომბინატის შესაძლებლობებს აღემატება. ვფიქრობ, ეს საკითხი ორ-სამ წელიწადში გადაწყდეს, იძულებული ვართ მშენებარე მინიფეხბურთის მოედნით დავკმაყოფილდეთ“.

ჩანს შეცდომა თავიდან არის დაშვებული, როცა მოედნის ხარჯზე აშენებდნენ საამქროებს. ხოლო შემდეგ დამპროექტებელმა ორგანიზაციამ — მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტმა, გრძელვადიან რეკონსტრუქციის სამუშაოებში სპორტული ბაზის მშენებლობა არ გაითვალისწინა, თუმცა კომბინატის ეზოს გარეთ იყო თავისუფალი ტერიტორია.

რეზერვი არის, ოღონდ... საჭიროა ადმინისტრაცია დაინტერესდეს და მეთოდისტმა მამუკა ბარქაიამ მეტი ინიციატივა გამოიჩინოს. კლუბისა და ბიბლიოთეკის გვერდით რამდენიმე მაღალჭერიანი საკმაო ფართობის ოთახებია თავისუფალი, სადაც შეიძლება სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიში, ეზოში სარბენი ბილიკის მოწყობაც მოხერხდება. მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლის უკან მდებარე ტერიტორიის (ერთ დროს სპორტული მოედნის, რომელიც ახლა ავტომანქანების საჯირითოდ ქცეულა) გამოყენებაც შეიძლება.

აქედან გამომდინარე სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მეტი დაინტერესება და დახმარება, ფიზკულტურის კვალიფიციური მეთოდისტის ხელია საჭირო, რომელიც სპორტულ მუშაობაში სათანადოდ არ იგრძნობა.

ერთი სიტყვით, ხალიჩების კომბინატში დღეს ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებით ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი, რომლის უგულვებელყოფა ასე დიდ საწარმოში ყოვლად დაუშვებელია.

ნუგზარ ქვანია,
„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.
ცხაკაია.

## ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო და მაინც თავი აარიდეს

ბათუმის „დინამოს“ ტირში პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში ფაბრიკა-ქარხნების, საწარმო-დაწესებულებების, ტექნიკუმების, პროფტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს შორის გაიმართა. შეჯიბრებაში 200 მსროლელი მონაწილეობდა, თითოეული გუნდის ექვს-ექვსი მსროლელი (ოთხი ვაჟი და ორი ქალი) მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 მეტრზე სროლაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

გუნდური პირველი ადგილი და ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის გუნდმა (დირექტორი ა. ხარაზი, მეთოდისტი ა. პარახონსკი). მეორე ადგილზე გავიდა სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გუნდი, მესამეზე — ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივი.

ქალთა შორის პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ლუდმილა ლებედინსკაიამ (საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა), რომელმაც 100 შესაძლებლიდან 96 ქულა მოაგროვა. ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას მისმა თანაგუნდელმა რობერტ მადოიანმა აჯობა — 95 ქულა.

შეჯიბრება უფრო საინტერესო იქნებოდა, ცეცხლის ხაზზე ელექტრომექანიკური, გემთსაშენი, საავეჯო-ბამბუკის ქარხნების, ხის დამამუშავებელი კომბინატის, ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის, აჭარის თევზჭერის სამმართველოს კოლექტივებიც რომ გამოსულიყვნენ, მაგრამ მათ რატომღაც თავი აარიდეს შეჯიბრებას. ტყვიის სროლა ხომ სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც ყველასთვისაა ხელმისაწვდომი.

ოთარ მურვანიძე.
ბათუმი.



### გამოხმაურება წერილზე: „სადაც ბანკეტი იმართებოდა“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 25 მარტის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თვით დიღმის მასივის I კვარტალის X კორპუსის მობინადრეთა შორის. ჩვენ ვწერდით, რომ ამ კორპუსის ბოლო, მე-17 სართულზე მდებარე საბანკეტო დარბაზი და სხვა სათავსები შეიძლებოდა გამოყენებულიყო „ჯანმრთელობის კლუბისათვის“. იქვე დავბეჭდეთ მობინადრეთა საწინააღმდეგო მოსაზრებები რუბრიკით „±: ვეთანხმები, არ ვეთანხმები“. ამ დღეებში რედაქციაში მივიღეთ კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერს 40 მობინადრე. ისინი კატეგორიული წინააღმდეგი არიან, რომ ზემოხსენებული დარბაზი სპორტულ სექციებს დაეთმოს. კეთილი და პატიოსანი; ამ ორმოც კაცს თავისი აზრი აქვს, მაგრამ აქაოდა, რაკი კოლექტიური წერილია, უფრო დაგვიჯერებენო... რედაქციას ბრალს სდებენ, გაზეთში მოთავსებული სურათები სინამდვილეს არ შეესაბამება, ხელოვნურად მოწყობილი სცენებია გადაღებულიო. მკითხველს შევახსენებთ, რომ იმ წერილთან ორი ფოტოსურათი დაიბეჭდა — ერთზე აღბეჭდილი იყო თვით საცხოვრებელი კორპუსი, მეორეზე — ის სათავსი, სადაც უწესრიგობაა. სად არის ლოგიკა — კორპუსის სურათი როგორ უნდა გადაგვეღო „ხელოვნურად მოწყობილი სცენებით?“ ან იქნებ იმას ფიქრობენ, რომ მე-17 სართულზე შამპანურის ცარიელი ბოთლები, ღვინის ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთები და ნაგავი კორესპონდენტებმა აზიდეს და მერე გადაიღეს? როგორ ეკადრებათ ასეთი რამ.

ახლა კი მეტი დამაჯერებლობისათვის აქვე გთავაზობთ ერთ-ერთი დარბაზის ხედს, რომელიც მაშინ არ გამოვაქვეყნეთ. ვფიქრობთ, უწესრიგოდ მიყრილი მაგიდების ატანაც ჩვენ არ დაგვბრალდება; არც ეს ნარჩენებია (მარცხნივ და მარჯვნივ რომ ჩანს კადრში) „ხელოვნურად მოწყობილი სცენით გადაღებული“.

## სიტყვა საქმედ უნდა იქცეს

1200-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში. ოლქის ამ დიდი შრომითი კოლექტივის ძირითად ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს, რომელსაც საქმესთან ერთად დასვენებაც შინაარსიანი უყვარს.

სექციებში 300-ზე მეტი სპორტის მოყვარულია გაერთიანებული.

ახალგაზრდებს განსაკუთრებით ტურიზმი იტაცებს. ისინი დასვენების დღეებს ხშირად ბუნების წიაღში ატარებენ: ფეხით შემოიარეს მდინარე ფაწას, დიდი და პატარა ლიახვების ხეობები.

ფაბრიკის მუშებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 15-წუთიან საწარმოო ტანვარჯიშს, რომელიც განმუხტვის და ფსიქოლოგიური განტვირთვის საშუალებას აძლევს მათ. საწარმოო ტანვარჯიში ყველა ცვლაში, ყველა საამქროში ტარდება, რაც დიდად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებას.

მაგრამ საწარმოს არ გააჩნია საჭირო სპორტული ბაზა, მის მაგივრობას ეზო სწევს. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკა საექსპლუატაციოდ გადაეცა. ამ ხნის განმავლობაში საწარმომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ შესაფერისი სპორტული ბაზის შექმნა აქ დღემდე ვერ მოხერხდა. სპორტული მოედნისთვის საჭირო ფართობი დიდი ხანია გამოიყო და შემოიღობა კიდეც, მიწაც შემოზიდეს და მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს. შეძენილია საჭირო მოწყობილობაც. ფაბრიკის ახალმა დირექტორმა თამაზ ოსტაევმა დაგვაიმედა, როგორც კი გამოიდარებს, მოედანზე საფარს დავაგებთ და საჭირო დანადგარებსაც დავამონტაჟებთო.

იმედია, სიტყვას საქმე მოჰყვება.

ლეილა ხუგელიანი.
ცხინვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

50

# „გურია" დამაჯერებლად თამაშობდა

**„გურია" (ლანჩხუთი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:1 (0:0)**

**ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 6 აპრილი.**

**„გურია": იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ხლუსი, კოპალეიშვილი, კონდრატიევი, ჩხაიძე (ა. კაპანაძე, 62), ფრიდონაშვილი, მეგრელაძე (აკოფიანი, 59).**

**„ზენიტი": ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, კუზნეცოვი (ჟელუდკოვი, 61), აფანასიევი, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, ვორობიოვი, ბარანიკი, სალენკო, დმიტრიევი (გერასიმოვი, 85).**

**მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).**
**გააფრთხილეს სალენკო, დავიდოვი.**

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა უკვე მეხუთე კალენდარული მატჩი ჩაატარეს · უმაღლეს ლიგაში და თვალნათლივ იგრძნობა, რომ გუნდი სულ უფრო დამაჯერებლად თამაშობს. „ზენიტი" ძნელი მეტოქეა ყველასათვის და, თუმცა, მატჩის დასაწყისში ლენინგრადელებს აქტიურ შეტევებზე მაინცდამაინც არ უფიქრიათ, „გურიამ" თავიდანვე იზრუნა მინდვრის შუაგულში თავისი პოზიციების გამაგრებაზე, მით უმეტეს, რომ ნახევარდაცვის რგოლში ამ დღეს ტრავმის გამო არ გამოდიოდა ძირითადი მოთამაშე ტყებუჩავა. დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ მასპინძლები აქტიურ იერიშებს შეუდგნენ, თამაშობდნენ თამამად, გრძელი გადაცემებით, შეტევაში ხშირად მონაწილეობდნენ შუა ხაზის ფეხბურთელები და, მართალია, მატჩის პირველ ნახევარში საგოლე მომენტები არც ერთ კართან არ შექმნილა, შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა მაინც ლანჩხუთელებს ეპყრათ.

თამაში მკვეთრად გამწვავდა მეორე ტაიმში, იერიშებს ტონი მასპინძლებმა მისცეს. ისინი უფრო გაბედულად, ეფექტურად უტევდნენ, ბირიუკოვის კართან რამდენიმე მეტად სახიფათო ვითარება შეიქმნა, მეკარეც და მცველებიც ხშირად იგერიებდნენ ბურთს კუთხურზე, გარდა ამისა, ტემპსაც ანელებდნენ და დროც გაჰყავდათ. რამდენიმეჯერ დაარტყეს კარში ჩხაიძემ, ხლუსმა, კოპალეიშვილმა, ე. თევზაძემ.

„გურიამ" გოლი 63-ე წუთზე გაიტანა: კოპალეიშვილის მოწოდებულ ბურთს მიუსწრო ხლუსმა და თავური დარტყმით აიღო ბირიუკოვის კარი.

გატანილმა გოლმა როგორც ტრიბუნებზე, ისე მასპინძელ ფეხბურთელთა შორის ჭარბი ემოციები გამოიწვია და როცა ზენიტელებმა ცენტრიდან წამოიღეს ბურთი, „გურიის" მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე დროზე ვერ მოასწრეს სწორად განლაგება, კერძოდ, მათ უმეთვალყურეოდ დატოვეს აფანასიევი, რომელმაც 64-ე წუთზე ზუსტად დაარტყა კარის დაბალ, შორეულ კუთხეში — 1:1.

ლანჩხუთელებმა ამ ტურში თავიანთ აქტივს კიდევ ერთი ქულა მიუმატეს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარჩენილი დროის განმავლობაში ისინი მეტოქეზე გაცილებით უფრო მეტს უტევდნენ და ანგარიშის შენარჩუნებაზე „ზენიტს" მეტი ზრუნვა დასჭირდა, ვიდრე მასპინძლებს, რომლებიც ბოლომდე ინიციატივიანად, თამამად თამაშობდნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად ჟიურიმ ვ. ხლუსი და ვ. დოლგოპოლოვი მიიჩნია.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

# ლიდერის პირველი დანაკარგი

**ჟელეზნოვოდსკი (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი).** 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში **V ტურის** პარტიები გათამაშდა. ერთპიროვნულ ლიდერს სვეტლანა მატვეევას პირველი ნახევარი ქულა დააკარგვინა სოფიკო ნიკოლაძემ. ნახევარი ქულა დაკარგა ლიდერთა ჯგუფში მყოფმა ნათია ჯანჯღავამაც, რომელიც შავი ფიგურებით ითამაშა სოფიკო ტერელაძეს. ასეთივე დანაკლისი განიცადა ქეთევან კახიანმა ნატალია ბოროდულინასთან შეხვედრაში. ჰენრიეტა ლაგვილავა შავებით დამარცხდა აინურ სოფიევასთან, ელენა სედინა — ტულიკა ლაისონთან. ნადეჟდა ბელაკოვსკაიამ მოუგო ალა გალიამოვას, ელენა ზაიაცმა— ფიროუზა ველიხანლის.

5 ტურის შემდეგ გათამაშებას ორი ლიდერი ჰყავს — სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე) და ელენა ზაიაცი (ბარანოვიჩი) — 4,5-4,5 ქულა. შემდეგ მოდიან: ნათია ჯანჯღავა (თბილისი) — 3,5, აინურ სოფიევა (ბაქო) და ნადეჟდა ბელაკოვსკაია (ოდესა) — 3-3, ქეთევან კახიანი (გარდაბანი), ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი) და სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 2,5-2,5.

**გიორგი მაჭარაშვილი.**

## რეგბი

**რეგბისტთა** საკავშირო ჩემპიონატზე მორიგი კალენდარული მატჩები გაიმართა. ქვეყნის ჩემპიონი —მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი ალმა-ათაში დამარცხდა ადგილობრივ არმიელებთან — 7:9. კიევის „ავიატორმა" სძლია მოსკოვის „ლოკომოტივს"— 6:0 და 4 მოგებით გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა. შინ გამართულ მატჩებში ზედიზედ ორი მარცხი იწვნია „შევარდენმა" — თბილისელები ჯერ მოსკოვის „ფილისთან" დამარცხდნენ — 0:14, შემდეგ კრასნოიარსკის ეტს-თან — 3:22.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 8 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავიატორი" | 4 | 4 | 0 | 0 | 12 | (0) |
| სკა | 4 | 3 | 0 | 1 | 10 | (—2) |
| „სლავა" | 4 | 3 | 0 | 1 | 10 | (—2) |
| „მშენებელი" | 4 | 3 | 0 | 1 | 10 | (—2) |
| „ელექტრომაში" | 4 | 3 | 0 | 1 | 10 | (—2) |
| სკა (ა.ათა) | 4 | 2 | 1 | 1 | 9 | (—3) |
| ეტს | 5 | 2 | 0 | 3 | 9 | (—6) |
| „ლოკომ." (თბ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 8 | (—4) |
| „ფილი" | 4 | 1 | 1 | 2 | 7 | (—5) |
| „ლოკომ." (მ.) | 4 | 1 | 0 | 3 | 6 | (—6) |
| „შევარდენი" | 5 | 0 | 0 | 5 | 5 | (—10) |
| „პრიმორიეცი" | 4 | 0 | 0 | 4 | 4 | (—8) |

• • •

**შაბათს** გაიმართა რეგბისტთა „ხუთი ერის პირველობის" ბოლო ორი მატჩი. კარდიფში „არმზ ფარქზე" უელსელებმა წააგეს ირლანდიელებთან 11:15, ლონდონის გარეუბან თვიქენემში კი „კალკუტის თასისათვის" ბრძოლაში ინგლისელებმა გადახალისებული შემადგენლობით (მასპინძლებმა 7 ახალი მოთამაშე გამოიყვანეს მოედანზე) დაამარცხეს შოტლანდიელები — 21:12.

**პირველობის საბოლოო ცხრილი:**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| 2-3. | ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 4 |
| 2-3. | შოტლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 4 |
| 4-5. | ინგლისი. | 4 | 1 | 0 | 3 | 2 |
| 4-5. | უელსი. | 4 | 1 | 0 | 3 | 2 |

ახლა ხუთივე გუნდი სხვა 11 გუნდთან ერთად მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში, რომელიც 17 მაისს დაიწყება ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**ევროპის ჩემპიონთა თასზე**

# „პორტო" (პორტუგალია) — „დინამო" (კიევი)

**დღეს, 8 აპრილს, გაიმართება ევროპის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები.**

სამივე ამ ტურნირში მონაწილე ხუთი საბჭოთა კლუბიდან გადამწყვეტ ეტაპს მიაღწიეს მხოლოდ კიევის დინამოელებმა, რომლებიც ნახევარფინალში უნდა შეხვდნენ პორტუგალიის „პორტოს".

„პორტო" ტრადიციულად ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია პორტუგალიურ ფეხბურთში, იგი ახლაც ლიდერთა შორის იმყოფება და ევროპის საკლუბო ასპარეზობათა ისტორიაში მხოლოდ ლისაბონის „ბენფიკას" ჩამორჩება. „პორტო" მხოლოდ ერთხელ გავიდა თასების მფლობელთა თასის ფინალში, როცა 1984 წელს ანგარიშით 1:2 დაუთმო იტალიის „იუვენტუსს". პორტუგალიის ქალაქ პორტუს გუნდის შემადგენლობაში საერთაშორისო კლასისა და ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების რამდენიმე ცნობილი ოსტატი გამოდის. ასეთთა შორის მოვიხსენიებთ ზე ბეტას, ინასიოს, პინტას, ფერეირას, ლუიშს, გომეშს, მაგალიაეშს, სოუზას, პაშეკას, არიან ახალგაზრდებიც: ანდრე, კუიმი. ამ კლუბში გამოდიან, აგრეთვე, ალჟირელი მაჯერი, პოლონელი მეკარე მლინარჩიკი, ბრაზილიელი ჟუარი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ცნობილი ცენტრფორვარდი კასაგრანდე. გუნდის მწვრთნელია არტურ ჟორჟე, რომელიც წარსულ წლებში პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობდა, „პორტოშიც", ერთხანს ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ ლიგაშიც გამოდიოდა. მან მწვრთნელთა სკოლა დაამთავრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კიოლნში. როგორც პორტუგალიური პრესა წერს, არტურ ჟორჟეს ხელმძღვანელობით „პორტო" სოლიდური, ტაქტიკურად გამართული, მეტად ბრძოლისუნარიანი კლუბი გახდა.

პორტუგალიის ეს კლუბი ჩვენთვის უცნობი არაა: 1984 წელს „პორტო" თასების მფლობელთა თასზე დონეცკის „შახტიორს" შეხვდა მეოთხედფინალში და ორი მატჩის ჯამში გამარჯვებას მიაღწია (3:2 და 1:1), შემდეგ კი, როგორც აღვნიშნეთ, ფინალში დამარცხდა „იუვენტუსთან".

ერთი სიტყვით, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში კიევის „დინამოს" ძლიერი მეტოქე ჰყავს. რა შეიძლება ითქვას დღევანდელ კიევის „დინამოზე"? ეტყობა, კიეველებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ჩვეული სტაბილური თამაშის დონეს. მაგალითად, საკავშირო ჩემპიონატში მათ დიდი ანგარიშით მოგება აქვთ მოპოვებული, მაგრამ ამის შემდეგ გუნდმა შინ, საკუთარ მინდორზე, მარცხი იწვნია, დინამოელებმა საუკეთესოდ ითამაშეს სტამბულის „ბეშიქთაშთან", მაგრამ თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად სუსტად ჩაატარეს ევროპის სუპერფინალის მატჩი ბუქარესტის „სტიაუასთან".

და, მაინც, იმედი გვაქვს, რომ კიევის „დინამოს" შეუძლია ფინალში თამაშის უფლება მოიპოვოს, იქ კი მისი მეტოქე იქნება ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი — მიუნხენის „ბაიერნი" ან მადრიდის „რეალი".

**ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი შედგება დღეს, საკავშირო ტელევიზია მატჩის მსვლელობას პორტუგალიიდან გადასცემს ღამით 1 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით. ეს შუაღამეა, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ მატჩის ჩანაწერი ნახონ 9 აპრილს მოსკოვის I პროგრამით 19 საათსა და 15 წუთიდან თბილისის დროით.**

საპასუხო მატჩი 22 აპრილს შედგება კიევში.

## ესპანეთი

დამთავრდა ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ექვსეული ჩემპიონობისათვის ბრძოლას განაგრძობს. მეორე ექვსეული (7-12 ადგილი), ესპანეთის სუპერთასის გათამაშებაში მონაწილეობისათვის იბრძოლებს, ხოლო ბოლო ექვსი გუნდი, რომელიც მესამე ჯგუფს შეადგენს, პირველ დივიზიონში დარჩენას შეეცდება. სამივე ჯგუფში ტურნირი ორწრიანი იქნება.

პირველ ექვსეულში მოსახვედრად მადრიდის „ატლეტიკოს" შინ „ბარსელონასთან" ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ სტუმრებმა შესანიშნავად ითამაშეს და გაიმარჯვეს (4:0). განსაკუთრებით აღსანიშნავია კარასკოს ბრწყინვალე თამაში, რომელმაც ბურთი გაიტანა. დანარჩენი სამი გოლი კალდერეს, ლინეკერისა და არჩიბალდის ანგარიშზეა.

ბილბაოს „ატლეტიკი", რომელიც დამარცხდა ლას პალმასში „უნიონთან" (1:2), მე-13 ადგილზე გავიდა და პირველ დივიზიონში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა. სან სებასტიანის „რეალ-სოსიედადმა" გაანადგურა მალიორკის „რეალი" (7:1). გამარჯვებულთაგან ერთი ბურთი გაიტანა ბეგირისტაინმა, ორ-ორი — გახატემ, ლოპეს უფარტემ და ბეკერომ.

სხვა შეხვედრები: „ესპანიოლი"— „რეალი" (მადრიდი) 0:0, „რეალი" (მურსია) — „ვალიადოლიდი" 1:0, „სპორტინგი" (ხიხონი)—„სევილია" 3:1, „რეალი" (სარაგოსა) — „საბადელი" 2:1, „ბეტისი" — „კადისი" 4:1, „ოსასუნა" — „რასინგი" (სანტანდერი) 2:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 34 | 61:29 | 50 |
| „ბარსელონა" | 34 | 51:22 | 49 |
| „ესპანიოლი" | 34 | 52:30 | 43 |
| „სპორტინ." (ხიხ.) | 34 | 47:36 | 37 |
| „რეალი" (მალ.) | 34 | 42:46 | 36 |
| „რეალი" (სარაგ.) | 34 | 31:30 | 36 |

## იტალია

კვირას „ნაპოლიმ" ფრედ (0:0) ითამაშა სტუმრად „ემპოლისთან". „ინტერისა" და „კომოს" შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ (1:0). ბურთი 53-ე წუთზე თავური დარტყმით ბერგომიმ გაიტანა.

„რომასა" და „ფიორენტინას" მატჩში ანგარიში სტუმრებმა უკვე მე-6 წუთზე გახსნეს (დიასი), მაგრამ 76-ე წუთზე ბონეკმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით აღადგინა წონასწორობა (1:1). გოლმა, რომელიც შეხვედრის მიწურულს ფონტოლანმა გაიტანა, გამარჯვება მოუტანა ვერონის „ელასს" სტუმრად „ასკოლისთან" (1:0). „აველინომ" სძლია „მილანს" (2:1).

სხვა შეხვედრები: „ატალანტა" (ბერგამო) — „იუვენტუსი" 0:0, „სამპდორია"—„უდინეზე" 0:0, „ტორინო" — „ბრეშია" 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 25 | 36:14 | 37 |
| „ინტერი" | 25 | 30:15 | 33 |
| „რომა" | 25 | 34:19 | 32 |
| „იუვენტუსი" | 25 | 38:22 | 31 |

## ინგლისი

ლითლვუდის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს „ლივერპული" და „არსენალი" შეხვდნენ. ანგარიში 23-ე წუთზე ლივერპულელმა რაშმა გახსნა, მაგრამ მალე ნიკოლასმა წონასწორობა აღადგინა, შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე კი მანვე გამარჯვება მოუტანა „არსენალს" (2:1).

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

ჩემპიონატში „ევერტონმა" სტუმრად დაამარცხა „ჩელსი" (2:1) და ბურთების სხვაობით გაუსწრო „ლივერპულს". „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" სძლია „ნორიჩ სიტის" (3:0). სამივე ბურთი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ კლაივ ალენზე მოდის, ამასთან — 15 წუთის განმავლობაში. ამ სეზონში (ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში) ალენმა 43 გოლი გაიტანა, რითაც ინგლისის საფეხბურთო ლიგის რეკორდი გაიმეორა.

სხვა შეხვედრები: „ჩარლტონ ათლეტიკი" — „უოტფორდი" 4:3, „ასტონ ვილა" — „მანჩესტერ სიტი" 0:0, „ლუტონ თაუნი" — „უიმბლდონი" 0:0, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ოქსფორდ იუნაიტედი" 3:2, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ლესტერ სიტი" 2:0, „ნოტინგემ ფორესტი" — „კოვენტრი სიტი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ევერტონი" | 34 | 62:27 | 67 |
| „ლივერპული" | 35 | 61:34 | 67 |

## პორტუგალია

24-ე ტურში ლისაბონის „სპორტინგმა" დაამარცხა „პორტუ" (2:0), გოლები რაფაელ მიდმა და ჰაუთმანმა გაიტანეს. გიმარაეშის „ვიტორიამ" გახსნა ანგარიში სტუმრად „შავეშთან" (პაულინიუ კაშკაველი), მაგრამ საბოლოოდ ფრეს დასჯერდა (1:1), ასევე სტუმრად „ბენფიკამ" სძლია „რიუ ავეს" (2:0) და პრაქტიკულად გაინაღდა ჩემპიონობა.

სხვა შეხვედრები: „სალგეიროში" — „ელვაში" 3:1, „აკადემიკა" — „ფარენსე" 1:0, „პორტიმონენსე" — „მარიტიმუ" 1:0, „ბელენენსეში" — „ვარზიმი" 4:1, „სპორტინგი" (ბრაგა) — „ბოავიშტა" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 24 | 45:19 | 41 |
| „პორტუ" | 24 | 53:19 | 36 |
| „ვიტორია" | 24 | 38:17 | 34 |
| „სპორტინგი" | 24 | 41:21 | 32 |

## ბელგია

26-ე ტურში „ანდერლეხტმა" და „მეხელენმა" ფრედ (1:1) დაამთავრეს შეხვედრა. ამ გუნდებს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ველარავინ შეუშლის ხელს — „ბრიუგე" დამარცხდა „სერანჟთან" (2:3), ხოლო „ბევერენი" შინ „რესინგ იეტთან" (1:2), „ბრიუგე" და „ბევერენი" ლიდერებს 8 ქულით ჩამორჩებიან.

სხვა შეხვედრები: „სერკლ ბრიუგე" — „ვარეგემი" 0:5, „კორტრიიკი" — „შარლერუა" 3:0, „ბერჰემი" — „ბეერსხოტი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 26 | 64:22 | 42 |
| „მეხელენი" | 26 | 42:11 | 42 |

## საფრანგეთი

30-ე ტურის შედეგები: „ოლიმპიკი" (მარსელი) — „სოშო" 4:0, „პარი სენ ჟერმენი" — „ბორდო" 0:0, „მონაკო" — „ნიცა" 1:0, „ტულუზა" — „ნანტი" 1:0, „ლანი" — „რენი" 2:1, „ნანსი" — „ლე ავრი" 0:0, „სენტ ეტიენი" — „მეცი" 0:0, „ბრესტი" — „რასინგი" (პარიზი) 2:0, „ოსერი" — „ლილი" 1:0, „ლავალი" — „ტულონი" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი" | 30 | 44:18 | 44 |
| „ბორდო" | 30 | 48:18 | 43 |

## გფრ

თასის ნახევარფინალურ შეხვედრებში „ჰამბურგმა" დაამარცხა მიონხენგლადბახის „ბორუსია" (1:0), ბურთი შეხვედრის მიწურულს კასტლმა გაიტანა. მეორე ნახევარფინალი მოულოდნელად დამთავრდა. მეორე დივიზიონის გუნდმა შტუტგარტის „კიკერსმა" სძლია დიუსელდორფის „ფორტუნას" (3:0). ფინალში, რომელიც 20 ივნისს დასავლეთ ბერლინში გაიმართება, „ჰამბურგის" გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

23-ე ტურის შედეგები: „ბაიერნი" (მიუნხენი) — „კაიზერსლაუტერნი" 3:0, „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „ჰამბურგი" 0:1, „ბლაუ ვაისი" (ბერლინი) — „შალკე 04" 0:0, „შტუტგარტი" — „ბორუსია" (დორტმუნდი) 3:0, „ბაიერი" (იურდინგენი) — „ფორტუნა" 4:1, „ჰამბურგი" — „კიოლნი" 1:3, „ვალდჰოფი" (მანჰაიმი) — „ნიურნბერგი" 3:0, „ბოხუმი" — „ვერდერი" (ბრემენი) 1:1, „აინტრახტი" (ფრანკფურტი) — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 23 | 46:22 | 34 |
| „ჰამბურგი" | 23 | 43:24 | 31 |

# საყოველთაო ლაშქრობა ჯანმრთელობისთვის

დასასრული

ვარდისუბანში რაიონის საექსპლოატაციო უბნის მოზარდთა 3 გუნდის მონაწილეობით ტურნირი გაიმართა მინი-ფეხბურთში.

რბენაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გუნდური პირველობა დაისაკუთრეს პედაგოგიური სასწავლებლისა და 44-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ბაგირის გადაძალვაში ყველას 49-ე სკოლის მოსწავლეებმა აჯობეს. სიმძიმეების აწევასა და მაგიდის ჩოგბურთში № 11 პროფსასწავლებლის მოსწავლეებმა იმარჯვეს.



**საქართველოს პროფსაბჭოს** მძლეოსნობის სასახლეში დიდხანს ისმოდა ჟრიამული მანეჟის დარბაზიდან — ამ დღეს აქ მოსულთ საშუალება ჰქონდათ ენახათ აერობიკის ჯგუფის გამოსვლა, ცნობილი სპორტსმენის ირინა ჟემჩუჟინას ხელმძღვანელობით, „სპარტაკის“ სპორტული სკოლისა და პროფსაბჭოს სპეციალიზებული სკოლის მძლეოსანთა საჩვენებელი შეჯიბრება, მონაწილეობა მიეღოთ ზეიმში და... ჩაწერილიყვნენ აერობიკის ჯგუფებში — დარბაზის შესასვლელთან მანეჟის ადმინისტრაციის წარმომადგენელი მსურველთ აბონემენტებს სთავაზობდა.

სპორტის მოყვარულებს ვურჩევთ ჩაეწერონ ჩვენს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფში — თქვა მანეჟის დირექტორმა ნუგზარ გეგენავამ,— მომსახურებით კმაყოფილი დარჩებიან. ვაპირებთ კვირაობით მოვაწყოთ ღია კარის დღე. ვისაც რომელიმე ჯგუფში ჩაწერა სურს, საშუალება ექნება დაესწროს მეცადინეობას და დარწმუნდეს მის სიკეთეში. ამასთანავე, განა აუცილებელია ამგვარი მასობრივი სპორტული ზეიმების მსგავსი ღონისძიებები მხოლოდ ჯანმრთელობის დღეს გაიმართოს?

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დირექტორს, რესპუბლიკის სპორტულ ობიექტებზე უფრო ხშირად უნდა ვიწვევდეთ მოსახლეობას.

**საზეიმოდ** მორთული შეხვდა ჯანმრთელობის ზეიმის მონაწილეებს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (დირექტორი ვლადიმერ ბურძგლა). ლოზუნგები და დროშები საზეიმო განწყობილებას უქმნიდა აქ მოსულ 800-ზე მეტ ფიზკულტურელს. შეჯიბრებები გაიმართა სირბილში, ბაგირის გადაძალვაში, ჭადრაკში, მინიფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და სიმძიმეების აწევაში. სააქტო დარბაზში 8 დაფაზე ერთდროული თამაშის საჭადრაკო სეანსი ჩაატარა საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ზურაბ სტურუამ.

— რა მოგცათ ამ დღემ? — ვკითხეთ კომბინატ საქვაჭრობმონტაჟის ზეინკალს გია ბენდიანიშვილს.

— ძალიან მიყვარს ფეხბურთი და როგორც კი დროს ვიხელთებ, ვთამაშობ. სამწუხაროდ, ბევრი ფიზკულტურასა და ფიზკულტურელებს ირონიით უყურებს. ასეთი ღონისძიებები კი ყველას თუ არა, ბევრს მაინც შეაცვლევინებს აზრს და ფიზკულტურას შეაყვარებს.

აქ გამართული მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორი იყო „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭო.

**სპორტის სასახლეში** დანიშნულ დროს შეიკრიბნენ პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, ტექნიკუმების და საშუალო სკოლების მოსწავლეები, საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები, მოვიდნენ სტუმრებიც. როგორც ყოველთვის, შეჯიბრების გვირგვინი ქართული ჭიდაობა იყო, ჭიდაობა, რომლის ანბანს ყველა ბავშვობაში სწავლობს, ამიტომ სარბიელზე პირველები ბავშვები გამოვიდნენ.

საინტერესოდ ჩატარდა ველორბოლა, რომელშიც საბურთალოს რაიონის ყველა წარმომადგენელმა პრიზი დაიმსახურა. სხვებს მაინც 5 წლის გია ხურცილავამ აჯობა. გიამ გვითხრა, რომ ძალიან უყვარს სპორტი და სურს ჩემპიონი გახდეს, მედალს კი აუცილებლად დედას აჩუქებს.

ყურადღების ცენტრში იყვნენ იუბილარები — კვირას ხომ გეოლოგის დღე იყო. ჩატარდა მეოთხედფინალური შეხვედრები მინი-ფეხბურთში.

...სპორტის სასახლის ტერიტორიაზე სპორტული დღესასწაული „დინამოს“ ძიუდოისტ გოგონათა საჩვენებელი გამოსვლით დამთავრდა.

**პარტიზანთა** სახელობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი 11 საათიდან ელოდა სტუმრებს. მზად იყო ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები... მაგრამ ბევრი, ვინც ტბაზე ამოვიდა, გარემოს დათვალიერების შემდეგ უკან დაბრუნდა.



ძლიერმა ქარმა ხელი შეუშალა მათ მონაწილეობა მიეღოთ ზეიმში, თანაც ბევრ ჯგუფს აშკარად აკლდა ორგანიზებულობა.

**სალხმრავლობა** იყო კვირას „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსის მოედნებზე. აქ ჩატარდა შეჯიბრებები ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში, მინი-ფეხბურთში, ბაგირის გადაძალვაში და სიმძიმეების აწევაში. საასპარეზოდ გამოვიდნენ ოქტომბრის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდები, მუშა-მოსამსახურეები, რაიონის მკვიდრნი. გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში — ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლისა და „ავაზას“ გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 400-მდე ფიზკულტურელმა.

## ზუგდიდი

**5 აპრილს,** ზუგდიდის სპორტულ ბაზებზე წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ჩატარდა მასობრივი ღონისძიებები. პროგრამაში იყო კალათბურთი, მინი-ფეხბურთი, მძლეოსნობა და ძალოსნობა. ღონისძიებებში, რომელიც ქალაქის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე, კომკავშირულ პარკში და კოლექტივებში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა, ახალგაზრდებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, დიასახლისებმა...

## ვანი

**5 აპრილს,** ჯანრთელობის დღესთან დაკავშირებით, ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულების სპორტულ ბაზებზე ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში: მძლეოსნურ კროსში, ამანათრბენში, მინი-ფეხბურთში, აგრეთვე რამოდენიმე სპორტის ეროვნულ სახეობაში. სულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 1500-მდე ფიზკულტურელმა.

## გურჯაანი

სუსხიანი ამინდის მიუხედავად გურჯაანის ტრადიციულ მასობრივ კროსში 397-მა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო მონაწილეობა.

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს საჭიდაო დარბაზში ჩატარდა შეჯიბრებები ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევასა და ბაგირის გადაძალვაში. კრივის დარბაზში მოეწყო ამხანაგური საჩვენებელი შეხვედრები. კალათბურთელებმა გურჯაანის [illegible] სპორტულ [illegible] იასპარეზეს.

სოფლის მოედნებზე შეჯიბრებები გაიმართა ფეხბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, შაშში, ჭადრაკსა და მძლეოსნობაში.

## თელავი

ჯანმრთელობის დღისადმი მიძღვნილ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ათას ხუთასზე მეტმა ფიზკულტურელმა.

ღია სპორტულ მოედნებზე მინი-ფეხბურთსა და ფრენბურთში უბნის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. სოფლის ნაკრებ გუნდებს შორის სამატჩო შეხვედრები გაიმართა ფეხბურთში. მოეწყო ტურისტული ლაშქრობა შუამთის მიდამოებში, მძლეოსნური ამანათრბენები სტადიონზე.

მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულთ სპორტის ამ სახეობისათვის განკუთვნილი სპეციალური დარბაზი დაეთმო ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში.

ჯანმრთელობის დღეს დაემთხვა ოფიციალური შეჯიბრებები: საქართველოს კალათბურთელთა 1987 წლის ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი თბილისის „სინათლესა“ და თელავის „კახეთის“ გუნდებს შორის, ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული აღმოსავლეთ საქართველოს ზონის პირველობა ძიუდოში, საქართველოს ჩემპიონატის მატჩი ზესტაფონისა და თელავის რაგბისტთა გუნდებს შორის (შეხვედრა დამთავრდა ფრედ 13:13). და ბოლოს, მატჩი ფეხბურთში თელავის „კახეთისა“ და ზუგდიდის „დინამოს“ მონაწილეობით (ეს მატჩიც ფრედ — 3:3 დამთავრდა). ტაიმებს შორის, შესვენებისას გაიმართა მძლეოსანთა ასპარეზობა. ამ შეჯიბრებებმა მაყურებელი მრავლად მიიზიდა.



# შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონთან

„**კომსომოლსკაია** პრავდას“ პრიზზე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების IX საკავშირო საჭადრაკო ტურნირის ფინალს ბაქო მასპინძლობდა. გუნდებს სათავეში ედგნენ ცნობილი მოჭადრაკეები: ბაქოელთა კაპიტანი იყო მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, მოსკოვისა — საერთაშორისო დიდოსტატი მაკარიჩევი, ხარკოვისა — საერთაშორისო დიდოსტატი დორფმანი და ა. შ. ჩვენს გუნდს საერთაშორისო ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ხელმძღვანელობდა.

სახელოვან კაპიტნებს მოსწავლეებთან ბრძოლაში ძალების სრული მობილიზაცია დასჭირდათ, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერც ერთი ვერ გადაურჩა.

სენსაცია მოხდა პირველივე ტურში, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ადგილობრივი გუნდები. ბაქოს გუნდის კაპიტანმა, მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა პარტია წააგო 14 წლის მოსწავლე ალექსი ლაზარაშვილთან. თამაშის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა განაცხადა, ასეთ შედეგს ყველაზე ნაკლებად ველოდი მესამე დაფაზე, მეტი ყურადღებით პირველ დაფაზე, ოსტატ ლაშა ჯანჯღავას ვეთამაშებოდი. დიახ, ლაშამ მართლაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონს, მაგრამ მაინც დამარცხდა.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილმა ანგარიშით 7:0 მოუგო ბაქოელ მოსწავლეებს, გარი კასპაროვმა კი 6:1 სძლია თბილისელებს.

თბილისელები პირველი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ, მაგრამ მერე, როგორც იტყვიან, თამაში არ გამოუვიდათ. აქვე უნდა ითქვას, რომ მათ მიერ ნათამაშებმა რამდენიმე პარტიამ სპეციალისტებისა და მწვრთნელების ყურადღება მიიპყრო. მაგალითად, ნათია ჯანჯღავამ მოსკოვის გუნდის კაპიტანი, საერთაშორისო დიდოსტატი სერგეი მაკარიჩევი დაამარცხა.

თბილისელმა მოსწავლეებმა 5,5 ქულით VI ადგილი დაიკავეს. მიუხედავად არასახარბიელო შედეგისა, ტურნირი დიდი სკოლა იყო ჩვენი მოზარდებისთვის. ხუმრობა ხომ არ არის, შეხვდე ამდენ დიდოსტატს და მოუგო თვით მსოფლიო ჩემპიონს. ვფიქრობთ, ნორჩი მოჭადრაკეები, ამ წარმატებით გამხნევებულნი, მეტი გულდაჯერებით განაგრძობენ მეცადინეობას.

**ნანა ჯანჯღავა,**
**ჩვენი სპეც. კორ.**

ბაქო—თბილისი.

**სურათზე: ნათია ჯანჯღავა — საერთაშორისო დიდოსტატი სერგეი მაკარიჩევი. ეს პარტია ნათიამ მოიგო.**

ბ. პეტროსიანის ფოტო (საქინფორმი).

# ბარიერი—უპასუხისმგებლობა

დასასრული

მოსწავლეებიდან და ვინ უკეთესად ხტება? რამდენიც არ უნდა დაგვარწმუნონ კასპის, საგარეჯოსა და მარნეულის სპორტის მესვეურებმა, ვინც აქ ჩამოვიყვანეთ, ამაზე უკეთესი სპორტსმენები არ გვყავსო, ვერ დავუჯერებთ. მაგალითად, გუშინ, „დინამოს“ სტადიონზე, კასპელმა თემურ სამხარაძემ 5,80 მეტრზე (!) ჰკრა ბირთვი და თითქმის ორვა მეტრით ჩამორჩა გამარჯვებულს, მახარაძელ სერგო ჯულაყიძეს (13,21).

მარნეულელმა ხვიჩა გოგინავამ 1000 მეტრი 4.04,4-ში დაფარა, კასპელმა დათო მარიდაშვილმა კი 100 მეტრი 13 წამში გაირბინა (!). იფიქრებ, რომ ბევრ მონაწილეს თვით მშდ-ს ნორმატივიც კი არ აქვს ჩაბარებული, ისე დაბალია შედეგები, არადა „დინამოს“ სტადიონზე გამოსულნი ხომ ფაქტიურად თავიანთი რაიონების ჩემპიონები არიან.

ნებისმიერი, უფრო მეტი გულისყურით ჩატარებული შესარჩევი შეჯიბრება გაცილებით ძლიერი გუნდების გამოყვანის საშუალებას მისცემდა აუტსაიდერი რაიონების ხელმძღვანელებს. პირველ ყოვლისა, საჭიროა შეიცვალოს დამოკიდებულება და გაიზარდოს პასუხისმგებლობა ამ მართლაც საჭირო შეჯიბრების მიმართ. თუ თბილისში პერსპექტიული ბავშვები არ ჩამოვლენ, შეჯიბრების ჩატარებას, თუნდაც ორგანიზებულად და სასურველ დონეზე რა აზრი ექნება?

ზემოთ ჩამოთვლილი გუნდების გარდა, გუშინ, „დინამოს“ სტადიონზე გამოვიდნენ ცხინვალის, სამტრედიის, მახარაძისა და თბილისის კიროვის რაიონის სპორტსმენები. უნდა ითქვას, რომ ისინი ბევრად უკეთესად იყვნენ მომზადებულნი და დასაწყისისთვის ურიგო შედეგები არ უჩვენებიათ. ცხინვალელი მწვრთნელები მუდამ ზამთრის სპორტული ბაზების ნაკლებობას უჩივიან (არცთუ უსაფუძვლოდ), მაგრამ მაინც შეძლეს საკმაოდ ძლიერი გუნდის გამოყვანა და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს (29 საჯარიმო ქულა). ამ გუნდის წევრმა ალექსანდრე მელქოევმა მოიგო 400 (54,7) და 1000 მეტრზე რბენა (3.56,8).

სამტრედიელმა მაკა იანტბელიძემ 60 და 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა, მისმა გუნდმა კი საერთო მეორე ადგილი დაიკავა და ყველას გასაკვირად, ერთი ქულით გაუსწრო მახარაძელ სპორტსმენებს. მეოთხე ადგილზე თბილისის კიროვის რაიონის გუნდი გავიდა. მომდევნო ეტაპზე ასპარეზობის უფლება ამ ოთხმა გუნდმა მოიპოვა.

ჩვენ მწვრთნელთა და გუნდის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ვახსენეთ. „ტელევიზიის პრიზის“ გათამაშების პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია გაგრის გუნდს, ახლა კი შეჯიბრებას ზუგდიდის წარმომადგენლებმაც აარიდეს თავი. ეს მაშინ, როცა ზუგდიდისა და მისი რაიონის ნორჩი სპორტსმენები ხშირად წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ორიოდე სიტყვა მაყურებლის შესახებ: მართალია, ფეხბურთის მოყვარულები ჯერჯერობით შემწყნარებლური ღიმილით უცქერიან ნორჩ მძლეოსანთა შეჯიბრებას, მაგრამ ისინი თანდათან ეცნობიან სპორტსმენებს, იმახსოვრებენ გვარებს და მომდევნო ასპარეზობებს ალბათ მეტი ინტერესით უყურებენ, მით უმეტეს, რომ „ტელევიზიის პრიზის“ გათამაშებას მხოლოდ ძლიერი გუნდები შემორჩებიან.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

# ქალთა ტრადიციული

დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი თბილისის ქალთა ტრადიციული სპარტაკიადა, რომელიც სპორტის 12 სახეობაში გაიმართა. პირველ ჯგუფში სტარტიდანვე გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ძლიერი კოლექტივები. აქ პირველობა არავის დაუთმეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენმა-ქალებმა. მათ 4 სახეობაში პირველი ადგილები დაიკავეს და 1987 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, მესამეზე — სპი-ს წარმომადგენლები.

**ლ. ბენბაშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 8** აპრილი. დილის დაჭურვა — **8.00** **(1);** დილის ტანვარჯიში — **9.00** **(2);** ჯანმრთელი რომ იყო —**21.45** **(2);** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ფეხბურთში. ნახევარფინალი: „პორტო“ (პორტუგალია) — „დინამო“ (კიევი). გადმოცემა პორტუგალიიდან — **1.30 (1).**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი**

**(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)**

**რეგბი**

**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი**

**(უმაღლესი ლიგა)**

**8 აპრილი**

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სლავა“ (მოსკოვი)**

დასაწყისი 18 საათზე.

**ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 06856**